სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #2

14 აპრილი, 2025 წ.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამუშაო დროის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის # 1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ 2021 წლის 12 თებერვლის N 01-15/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმისა და მისი წარმოების წესის“ დანართი # 1-ის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 დეკემბრის N148/2016 დადგენილებით დამტკიცებული თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დებულების მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამუშაო დროის აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის განისაზღვრის შესახებ“ სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის 2021 წლის 4 მარტის # 1 ბრძანებაში და მისი პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის წარმოება/შევსებაზე, შენახვაზე და თანამშრომლებისთვის გაცნობაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ინსტიტუტის კადრების მენეჯერი ნონა თეთრაძე.

2. დაევალოს ნონა თეთრაძეს:

ა) შეავსოს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა ყოველთვიურად და წარუდგინოს ინსტიტუტის დირექტორს მომდევნო კალენდარული თვის არაუგვიანეს 3 რიცხვისა;

ბ) სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი გააცნოს ინსტიტუტის თანამშრომლებს ელექტრონული ფოსტის საშუალებით;

გ) სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, როგორც ყოველთვიური დოკუმენტი, საბოლოო ელე-ქტრონული დოკუმენტის სახით შევსებული და ხელმოწერილი შეინახოს 1 წლის განმავლობაში.“

2. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირებსა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი ნინო ფარცვანია